

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 აგვისტოს №01-06/09  
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის მ/შ გულადი წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის II კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა  
2020 წლის -- აგვისტო  
დაბა ქედა

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106<sup>1</sup>-ე და 106<sup>5</sup>-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის -- აგვისტო.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის -- აგვისტო.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.keda.ge](http://www.keda.ge)).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

## ც ნ ო ბ ა

### საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2020 წლის - აგვისტოს დღის --:-- საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2020 წლის -- აგვისტოს დღის --:-- საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის -- აგვისტო.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
დადგენილება №--  
2020 წლის -- ივლისი  
დაბა ქედა

**„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“  
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადგენს:

**მუხლი 1.**

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 29/08/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016222) შეტანილი იქნას ცვლილება:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის წესის დამტკიცების შესახებ“**

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1**

დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესი, თანახმად დანართი №1-სა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის წესი, თანახმად დანართი №2-სა.“

3. დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„დანართი №2.

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის)  
პროგრამის წესი**

**მუხლი 1.**

1. ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარების მიზნით, ქედის მუნიციპალიტეტის მერი განიხილავს ამხანაგობის განცხადებას საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსების თაობაზე.

2. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ იმ ამხანაგობას, რომელიც დაფუძნებულია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად და აღრიცხულია ამ წესის შესაბამისად;

3. ამხანაგობების ინსტიტუციური განვითარებისა და თვითკმარ სუბიექტად ჩამოყალიბების მიზნით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ხელი შეუწყოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს ინსტიტუციურ, ეკონომიკურ განვითარებას და მხარი დაუჭიროს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ასოციაციების განვითარებას სხვადასხვა აქტივობებით.

## **მუხლი 2.**

1. ამხანაგობების წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსების თაობაზე ამხანაგობის თავმჯდომარე განცხადებით მიმართავს ქედის მუნიციპალიტეტის მერს, განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) ამხანაგობის რეკვიზიტებს;

ბ) ამხანაგობის მოთხოვნას საერთო ქონების განვითარებისათვის ჩასატარებელი კონკრეტული ინფრასტრუქტურული სამუშაოს დაფინანსების თაობაზე.

2. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ფურცლის ასლი;

ბ) ამხანაგობის კრების ოქმი (ნოტარიულად დამოწმებული კრების თავმჯდომარის ხელმოწერით), რომლითაც განსაზღვრული იქნება ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების განვითარებისათვის ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, პრიორიტეტების მიხედვით.

## **მუხლი 3.**

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერი განიხილავს შემოტანილ განცხადებებს და მათ შესაბამისობას ამ წესით და პროგრამით დადგენილ პირობებთან.

2. ამხანაგობის საერთო ქონების განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით მუნიციპალიტეტი აფინანსებს შემდეგ ძირითად მიმართულებას:

ა) სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები (წყალსაწრეტი მიწები, ქანობიანი და ბრტყელი სახურავი);

ბ) წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები;

გ) შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები;

დ) საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები, სადარბაზოს ფანჯრები, თაღები და სართულშუა ნაპრალების სამუშაოები);

ე) პროექტირების სამუშაოები (არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომსახურება).

3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესაძლებელია განისაზღვროს ამხანაგობისათვის დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების სახე, რომელიც არ არის მითითებული ამ მუხლის მე-2 პუნქტში და წარმოადგენს ამხანაგობების განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამუშაოებს.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისათვის დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი (სახელმწიფო შესყიდვების ან/და ამხანაგობის მიერ წარმოდგენის გზით).

5. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტისგან დაფინანსების მისაღებად, თანამონაწილეობის მიზნით, ამხანაგობამ საკუთარ ანგარიშზე უნდა განათავსოს დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების 5%.

6. განცხადება არ დაკმაყოფილდება, თუ:

- ა) შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან, ღირებულებიდან ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზებიდან გამომდინარე მისი დაკმაყოფილება მიზანშეუწონელია;
- ბ) შესასრულებელი სამუშაო უკვე დაფინანსებულია პროგრამის ფარგლებში და მოქმედებს შესრულებული სამუშაოების ხარისხის საგარანტიო ვადა;
- გ) ამოიწურა ბიუჯეტის შესაბამისი ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ოდენობა;
- დ) შემოწმების შედეგად არ დასტურდება განცხადებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა;
- ე) დარღვეულია ამ წესის მოთხოვნები.

#### **მუხლი 4.**

ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვას მუნიციპალიტეტი განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვის გზით.

#### **მუხლი 5.**

1. ამ წესით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსების მიღებისათვის ამხანაგობა ვალდებულია სრულად დაიცვას ამ წესითა და პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნები.

2. ამხანაგობა ვალდებულია განახორციელოს ამ წესისა და პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სამუშაოების შედეგად შექმნილი/რეაბილიტირებული და ამხანაგობის საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა.

#### **მუხლი 6.**

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია:

ა) ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული ამხანაგობის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ დააკმაყოფილოს ამხანაგობის მოთხოვნა ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების დაფინანსების თაობაზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე;

ბ) მოითხოვოს დაფინანსებული ამხანაგობის ანგარიში ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

გ) ერთდროულად განიხილოს და შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში დააფინანსოს სხვადასხვა სახის სამუშაოები ერთი ამხანაგობისათვის.

#### **მუხლი 7.**

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას ასევე განეკუთვნება:

- ა) საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება;
- ბ) ამხანაგობების საქმიანობისათვის საჭირო ტიპური დოკუმენტაციის შემუშავება (ტიპური წესდება, ამხანაგობის ტიპური კრების ოქმი და ა.შ.).“

#### **მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

## განმარტებითი ბარათი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილების შესაბამისად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელების რეგულირება, რომელიც გულისხმობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისა და შემდგომში ფინანსურად დამოუკიდებელ სუბიექტებად ჩამოყალიბების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ფინანსურ მხარდაჭერასაც.

გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. რედაქციით ხდება დადგენილების სათაურის ახლებურად ჩამოყალიბება, რაც აგრეთვე მოიცავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის წესის დამტკიცებასაც (დადგენილების დანართი N2-ის თანდართული რედაქციით ჩამოყალიბდება).

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გოჩა გორგილაძე.





## ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2020 წლის -- ივლისი  
დაბა ქედა

### ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინა), (ს/კ 21.03.35.367.01.500 და ს/კ 21.03.35.367.01.501).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2020 წლის 21 აპრილის №684/02 წერილით ითხოვს აღნიშნული 2 (ორი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის), შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (ოჯახისათვის) საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა), (ს/კ 21.03.35.367.01.500 და ს/კ 21.03.35.367.01.501) უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემას, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (ოჯახისათვის) არსებულ ქონებაზე (ბინაზე) საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს შემდეგი უძრავი ქონება, კერძოდ:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის I სართულზე არსებული 63.80 კვ.მ. ფართი (საცხოვრებელი ბინა), (ს/კ 21.03.35.367.01.500);

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის I სართულზე არსებული 113.50 კვ.მ. ფართი (საცხოვრებელი ბინა), (ს/კ 21.03.35.367.01.501).

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

## განმარტებითი ბარათი

### ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესრულება რათა განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია - გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 21 აპრილის №684/02 წერილის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებული, დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა), (ს/კ 21.03.35.367.01.500 და ს/კ 21.03.35.367.01.501), შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (ოჯახისათვის) საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა (იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მასზე თანდართული დოკუმენტაცია რომელიც განკარგულების პროექტს თან ერთვის).

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება, რათა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში თვითმმართველი თემის ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული შემდეგი უძრავი ქონება, კერძოდ:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის I სართულზე არსებული 63.80 კვ.მ. ფართი (საცხოვრებელი ბინა), (ს/კ 21.03.35.367.01.500);

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედა, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის I სართულზე არსებული 113.50 კვ.მ. ფართი (საცხოვრებელი ბინა), (ს/კ 21.03.35.367.01.501).

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:**

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

**დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

**ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი მ/შ გულადი წითელაძე.

**ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882020346544 - 24/06/2020 22:27:02

მომზადების თარიღი  
25/07/2020 02:14:24

### საკუთრების განყოფილება

მონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ქელა	დაბა ქელა				ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
<b>21</b>	<b>03</b>	<b>35</b>	<b>367</b>	<b>01/501</b>	დამუსგებული ფართობი: 331.00 კვ.მ.
მისამართი: რაიონი ქელა , დაბა ქელა , თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი N1					ნაკვეთის წინა ნომერი: შენიშვნა-ნაგებობები: N1 საერთო ფართობით 216.4 კვ.მ.

### მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020346544 , თარიღი 24/06/2020 22:27:02  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/07/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა N03/2761 , დამოწმების თარიღი: 23/07/2020 , ქელის მუნიციპალიტეტის მერია

მესაკუთრეები:

სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი: 246762061

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	ფართი	სართული1,	113.50 კვ.მ.

### იპოთეკა

საგადასახლო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

### ვალდებულება

ყაღალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვადებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგვით განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)







### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882020346544 - 24/06/2020 22:27:02

მომზადების თარიღი  
25/07/2020 02:14:02

### საკუთრების განყოფილება

მონა ქელა	სექტორი ლაბა ქელა	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი	ნაკვეთის საკუთრების გიპი: საკუთრება ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 331.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: შენიშვნა-ნაგებობები: N1 საერთო ფართობით 216.4 კვ.მ.
<b>21</b>	<b>03</b>	<b>35</b>	<b>367</b>	<b>01/500</b>	
მისამართი: რაიონი ქელა , ლაბა ქელა , თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი N1					

### მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020346544 , თარიღი 24/06/2020 22:27:02  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/07/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა N03/2761 , დამოწმების თარიღი: 23/07/2020 , ქელის მუნიციპალიტეტის მერია

მესაკუთრეები:

სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი: 246762061

მესაკუთრე:	საკუთრების გიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	ფართი	სართული1,	63.80 კვ.მ.

### იპოთეკა

საგადასახლო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

### ვალდებულება

ყაღალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის



"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვადებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."


- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგვით განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



# შენიშნის შიდა აზომვითი ნახაზი

მისამართი: დ.ქალა თამარ მეფის ქ. 181ბიN1

მოსარგებლავ: ქაღის მანიფაქტურის მარნა



სასარგებლო შართი: 63.833.8

სამართო შართი	აზომვის თარიღი 09/07/2020	დ. თმეჯილა შოთაძის ქუჩა N2 ტელ: 599283078	ფირმის სახელი: შეასრულა: კომპ. მფლობელი: დამკვეთი:	სსიპ "ქალაქის მერი" ქალაქი საქართველო თბილისი
სამართო შართი				სსიპ "ქალაქის მერი" ქალაქი საქართველო თბილისი







№ 684/02

"21" 04 2020

ქედის მუნიციპალიტეტის მერს  
ბატონ ლევან გორგილაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2018 წლის 22 ივნისის N14 სარეკომენდაციო ოქმის თანახმად, დაისვა საკითხი ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტში, დაბა ქედაში, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, N1-ში მდებარე 182.89 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 115.19 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (ს/კ 21.03.35.367) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების თაობაზე. შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ზემოაღნიშნული უძრავი ქონება (ს/კ 21.03.35.367), რომელიც სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2020 წლის 3 თებერვლის N1/1-655 ბრძანების საფუძველზე საკუთრებაში გადაეცა ქედის მუნიციპალიტეტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოსცეთ, ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში, თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, N1-ში მდებარე 182.89 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 115.19 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 21.03.35.367) შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

დანართი: „ 21 “ ფურცელზე.

პატივისცემით,  
თორნიკე რიჟვაძე



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის -- აგვისტო  
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის  
2020 წლის II კვარტლის შესრულების შესახებ  
ანგარიშის მოსმენის თაობაზე

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის II კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

# ა ნ გ ა რ ი შ ი

## ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ

### შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N10 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებული წლიური მოცულობა 11 835 000 ლარის ოდენობით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 625 000 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მდგომარეობით მიღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 173 118 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 40 000 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1 711 717 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 711 539 ლარი, ქონების გადასახდი 178 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 52 122 ლარი, მათ შორის: პროცენტები 451 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 5065 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 2863 ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 33 667 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 1 600 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 5 628 ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 2 847 ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან 1 300 ლარი. 2020 წლის ფაქტიური შემოსულობები დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით შესრულებულ იქნა 88,3%-ით.

### გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2020 წლის II კვარტლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 192 900 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 372 723 ლარი. (84.21%)

#### I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 184 493 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 082 587 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 287 400 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 273 016 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 828 600 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 761 857 ლარი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის სამსახურის 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 35 600 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 25 910 ლარი.

## **II. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 388 060 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 200 030 ლარი, მათ შორის:

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 238 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 179 156 ლარი, საიდანაც

შპს ქედის წყალკანალი 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 199 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8142 724 ლარი.

**მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების** 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 779 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 736 966 ლარი, მათ შორის:

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 136 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 133 792 ლარი.

დაბა ქედაში მ. კოსტავას ქუჩა #3 მდებარე ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია (მუზეუმის განსათავსებლად) 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 93 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 93 000 ლარი.

ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 470 ლარი.

## **III. დასუფთავება და გარემოს დაცვა**

**დასუფთავება და ნარჩენების გატანა** 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 378 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 275 312 ლარი, მათ შორის:

შპს ქედის კომუნალურსერვისი 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 320 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 275 312 ლარი.

## IV. განათლება

განათლების სფეროს 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 844 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 706 981 ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 844 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 706 981 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 773 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 640 192 ლარი.

ახოს ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 70 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 66 789 ლარი.

## V. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 849 090 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 696 105 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 301 290 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 256 452 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 135 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 110 356 ლარი.

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 636 ლარი.

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 36 195 ლარი.

სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 38 854 ლარი.

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 536 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 436 072 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 371 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 336 951 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 67 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 61 155 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 42 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 34 471 ლარი.

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა 2019 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 38 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 495 ლარი.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 304 ლარი.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 277 ლარი.

## **VI. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს** 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 265 624 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 221 643 ლარი, მათ შორის:

**ჯანმრთელობის დაცვის** 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 94 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 66 011 ლარი, საიდანაც

ამბულატორიული მომსახურეობა 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 37 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 37 800 ლარი.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 32 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21 111 ლარი.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 21 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 7 100 ლარი.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით რიგი დაწესებულებების სადეზინფექციო დამუშავებისათვის 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 400 ლარი.

**სოციალური დაცვის ღონისძიებების** 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 171 624 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 155 632 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 408 ლარი.

ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 661 ლარი.

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 180 ლარი.

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 000 ლარი.

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 14 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 400 ლარი.



ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 106 ლარი.

სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 178 ლარი.

სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ადგილობრივი და აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი) 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 67 324 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 58 674 ლარი.

ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძენად ფინანსური დახმარება 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 60 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 60 475 ლარი.

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა 2020 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 500 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული სარეზერვო ფონდის შესახებ 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

№	დასახელება	ფუნქციონ. კოდი ეკონ კლას. კოდი	ბრძანების № და თარიღი	გამოყოფილი თანხა	ფაქტობრივი დაფინანსება	საკასო შესრულება	შენიშვნა
3	სოფელ კოლოტაურში მცხოვრები ნოდარ ფარტენაძისათვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის და შპს „კავკასიის სამედიცინო ცენტრი“-ს ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	68 20.01.2020	500	500	500	
18	სოფელ უჩხითში მცხოვრები გოგიატა არჯევანიძისათვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის და შპს „საგიტარიუსი“-ს ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	123 31.01.2020	500	500	500	
20	სოფელ გეგელიძეებში მცხოვრები დურსუნ ხალვაშისათვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის და ა(ა)იპ „ნიუ ვიფენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“-ს ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	128 03.02.2020	500	500	500	
31	სოფელ აქუცაში მცხოვრები ლაშა ლომინაძისათვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის და ი/მ „ბესიკ დარჩიძე“-ს ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	179 18.02.2020	500	500	500	
34	სოფელ დოლოგანში მცხოვრები რომან ვარშანიძისათვის ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფისა და ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	207 25.02.2020	500	500	500	
43	სოფელ ზვარეში მცხოვრები ზაზა მგზავრიძისათვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის და მის პირად ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	266 18.03.2020	500	500	500	
44	სოფელ ვარჯანისში მცხოვრები თამაზ ზერიძისათვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის და შპს ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრ „მედინა“-ს ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	267 18.03.2020	500	500	500	
46	სოფელ ახოში მცხოვრები გურამ ნაკაშიძისათვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის და მის პირად ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	269 18.03.2020	500	500	500	
72	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის სანერგე მეურნეობიდან ჩითილების ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში ტრანსპორტირების მომსახურების გაწევის მიზნით სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ	71 09 22	418 21.05.2020	500	500	500	
73	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარჯანისში მცხოვრები მაია ბოლქვაძისათვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის და შპს „მედ ემერჯენსი“-ს ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	425 25.05.2020	500	500	500	
74	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისში მცხოვრები ზურაბ თურმანიძისათვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის და სს „ევექსის ჰოსპიტლები“ - ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	439 27.05.2020	500	500	500	
81	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში მცხოვრები თამაზ ესეხიძისათვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის და აკ. ფ. თოდუას სამედიცინო ცენტრის ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	453 01.06.2020	500	500	500	
87	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხმორისში მცხოვრები გულთამზე ჩხუბაძისათვის ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფისა და ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	493 16.06.2020	500	500	500	
111	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზესოფელში მცხოვრები თალიკო გორგილაძისათვის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის და ჩარიცხვის შესახებ	71 09 27	570 29.06.2020	500	500	500	